



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 026/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლამარა თელიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატი ახორციელებდა კლიენტის დაცვას სამემკვიდრეო დავაზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. კლიენტის მოწინააღმდეგე მხარემ მომართა კომისიას ადვოკატის მიმართ შემდეგი პრეტენზიებით: თითქოსდა ადვოკატი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ესტუმრა მას საცხოვრებელ სახლში, დაუკითხავად დაათვალიერა მისი სახლი და ნივთები, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა „მოვიყვან პოლიციას“, „მე თქვენ გაფრთხილებთ“. ადვოკატი ადასტურებს აღნიშნული ფრაზების გამოყენებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევა შეამოწმა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის ფარგლებში. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმებისა და ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, ადვოკატმა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილ საქმეზე. შესაბამისად „მხარის პოზიცია რომ ადვოკატმა კლიენტს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო კონსულტაცია არ გაუწია, ვერ გახდება ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი“. იგი კლიენტის ინტერესების შესაბამისად უნდა მოქმედებდეს და ასრულებდეს მის მითითებებს. ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები აკისრებს ვალდებულებას, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. როდესაც ადვოკატი მივიდა კლიენტთან მისი საცხოვრებელის სახლის, ამ შემთხვევაში სადავო ქონების, დასათვალიერებლად, ამ დროს ადვოკატი მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების შესაბამისად. ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევაში მოწინააღმდეგე მხარის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტები ვერ დაადგინა.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ვერ აღმოაჩინა ადვოკატის ქცევაში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლის შესაძლო დარღვევა და უარი თქვა დისციპლინური ღეგნის აღძვრაზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c52a11149f79.pdf/5c52a11149f79.pdf>